დისტანციურის სწავლების ადაპტაციის პერსპექტივები და შესაძლებლობები საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში

თინათინ როდონაია
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: trodonaia@hotmail.com

რეზიუმე

საერთაშორისო ტენდენციების თანახმად საგანმანათლებლო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა ელექტრონული სწავლების პროგრამებზე. დისტანციური პროგრამების დანერგვით უმაღლეს სასწავლებლებში გაჩნდება პოტენციურ სტუდენტთა ახალი სეგმენტი, რომლებიც უცხო ქვეყნიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დისტანციური ფორმით მიიღებენ განათლებას, ასევე შესაძლებლობა ექნებათ საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს მიიღონ განათლება.

საქართველოში სტუდენტებისა და ლექტორების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ქართული საზოგადოების ინტერესი და მზადყოფნა ამ თანამედროვე მიდგომის მიმართ. გამოკითხულთა უმეტესობას სურვილი აქვს შერეული ტიპის დისტანციური სწავლება აქტიურად დაინერგოს უმაღლეს სასწავლებლებში დროის დაზოგვისა და მოქნილობის გამო.

საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში დისტანციური სასწავლო პროგრამების დასანერგად, პირველ რიგში, საჭიროა საკანონმდებლო შეზღუდვების მოხსნა, დისტანციურად მიღებული განათლების აღიარება. დისტანციური სწავლების დანერგვა უნდა იყოს პირდაპირ კავშირში საბაზრო მოთხოვნასთან, ანუ როდესაც მაღალია პოტენციური მომხმარებლის ინტერესი ამ ტიპის პროგრამებსა და სწავლებაზე. ელექტრონული სწავლების დანერგვისას ორიენტირი უნდა იყოს ხარისხზე დაფუძვნებული სწავლა-სწავლების პროცესი.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, განათლება, ელექტრონული სწავლება, განვითარება, უმაღლესი განათლება, ონლაინ კურსები, ტექნოლოგიები, მომხმარებელი

შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ელექტრონული, დისტანციური და ნახევრად დისტანციური კურსებისა და პროგრამების გავრცელება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როგორც განათლების მიღების მსურველებისთვის, ისე უნივერსიტეტების განვითარებისთვის. ამგვარი კურსების შექმნითა და ადაპტირების გზით საქართველოს შეუძლია მიაღწიოს საკუთარი საგანმანათლებლო ინსტიტუციების ინტერნაციონალიზაციის ზრდას. შედეგად მოიმატებს უმაღლესი განათლების ხარისხი, გაიზრდება ხელმისაწვდომობა და შეთავაზებების მრავალფეროვნება.

ინტერაქტიული სწავლების რეჟიმი სწავლის პროცესს ბევრად უფრო ხელმისაწვდომს და მარტივს ხდის, რაც არ გამორიცხავს ტრადიციულ სასწავლო პროცესს. დღესდღეობით დისტანციური სწავლება უმნიშვნელოვანესი ფენომენია უმაღლესი განათლების სისტემაში. სადაც არ უნდა ვეძებოთ პროფესიულ სასწავლებლებში, ოთხწლიან სასწავლო ინსტიტუციებსა და ტექნიკურ კოლეჯებში დისტანციური სწავლება ინერგება და სწრაფად ვითრდება. დისტანციური განათლება და ტექნოლოგია წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რომელიც ცვლის ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურს.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით[1] 2015-2016 აკადემიური წლიდან მოყოლებული მატულობს უცხოელი სტუდენტების რაოდენობა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ: 2015-2016 წლებში სულ 6643 სტუდენტი, 2016-2017 წელს 8012, ხოლო 2017-2018 უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა უტოლდება 10074, რომლებიც განაწილებულები არიან როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. საერთაშორისო ტენდენციების თანახ-

[1] http://geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo

მად საგანმანათლებლო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა ელექტრონული სწავლების პროგრამებზე. დისტანციური პროგრამების დანერგვით უმაღლეს სასწავლებლებში გაჩნდება პოტენციურ სტუდენტთა ახალი სეგმენტი, რომლებიც უცხო ქვეყნიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დისტანციური ფორმით მიიღებენ განათლებას, ასევე შესაძლებლობა ექნებათ საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს მიიღონ განათლება. ამ შესაძლებლობების განსახორციელებლად აუცილებელია საკანონმდებლო შეზღუდვების მოხსნა, სადაც მითითებულია: „ელექტრონული სწავლებით სარგებლობის უფლება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ პირებს აქვთ"[2] ჩანაწერით („საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის") იკარგება დისტანციური სწავლების ეფექტიანობა და სარგებელი, რადგან დისტანციური სწავლება თავის თავში გულისხმობს დისტანციურ ანუ გეოგრაფიული საზღვრების გარეშე განათლების მიღების საშუალებასა და შესაძლებლობას. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო არ აღიარებს უცხოეთში დისტანციური ფორმით მიღებულ უმაღლეს განათლებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პირმა მსოფლიოში აღიარებული აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის პროგრამა დაასრულა. ამ მიმართულებით შეზღუდვენის არსებობა მსურველებს შესაძლებლობას ართმევს, მიიღონ ხარისხინაი განათლება შედარებით ნაკლებ ფასად.

2005 წლიდან საქართველო შეუერთდა ბოლოონიის პროცესს, რომლის ერთ-ერთი ცენტრალური მიზანია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა. დისტანციური სწავლების აქტიური დანერგვა უმაღლეს სასწავლებლებში სწორედ უწყვეტი განათლების ხელშეწყობაა. საქართველოს რეგიონებში დასაქმებულ და მცხოვრებ პირებს ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ მათთვის სასურველ ონლაინ კურსებზე და აიმაღლონ კვალიფიკაცია.

ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის ანალიზის შედეგად მივიღეთ მნიშვნელოვანი დასკვნები. კვლევის პროცესში შესაძლებლობა გვქონდა შეგვეფასებინა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ელექტრონული სწავლების პროექტები, განხორციელებული კურსები, დონისძიებები. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევის განხილვით გავეცანით ტენდენციებს ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში, ელექტრონული სწავლება დანერგა გამოკითხულთა დიდმა უმეტესობამ 96% (245 გამოკითხული ინსტიტუციიდან 238)[3].

კვლევის ფარგლებში შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით პოლონეთისა და ესტონეთის კერძოდ, ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა[4] (TTU) და ვარშავის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის[5] (SGH) გამოცდილებას დისტანციური სწავლების მიმართულებით. დისტანციური სწავლების მართვის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რჩევების მოსმენა თუ რამ გაამართლა მათ შემთხვევაში და რა პრობლემების წინაშე დადგნენ; როგორ ხდება ტრადიციული საუდიტორიო ლექციების ელექტრონული მხარდაჭერა (e-support) სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად. ელექტრონული სწავლების დანერგვისას ორიენტირი უნდა იყოს ხარისხზე დაფუძვნებული სწავლა-სწავლების პროცესი. გამოცდილებიდან გამომდინარე საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა კურსების ელექტრონული მხარდაჭერის დანერგვა, რომელიც არ გამორიცხავს ლექციებზე დასწრებას. ეს არის დამატებითი შესაძლებლობა დამოუკიდებელი პროაქტიული მეცადინეობისა. დისტანციური სწავლების დანერგვა უნდა იყოს პირდაპირ კავშირში საბაზრო მოთხოვნასთან, ანუ როდესაც მაღალია პოტენციური მომხმარებლის ინტერესი ამ ტიპის პროგრამებსა და სწავლებაზე. ყოველი სტრატეგიული ნაბიჯი და ცვლილება მიმართული უნდა იყოს მაღალი ხარისხის განათლებისკენ.

საქართველოში სტუდენტებისა და ლექტორების რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა ქართული საზოგადოების ინტერესი და მზადყოფნა ამ თანამედროვე მიდგომის მიმართ. გამოკითხულთა უმეტესობას სურვილი აქვს შერეული ტიპის დისტანციური სწავლება აქტიურად დაინერგოს უმაღლეს სასწავლებლებში დროის დაზოგვისა და მოქნილობის გამო, რაშიც იგულისხმება ხელმისაწვდომობა მომხმარებლისთვის მისაღებ ნებისმიერ დროსა და ადგილას. გამოკითხულ ლექტორთა 74% მზად არის გაიაროს

[2] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე 2011 წელი.

[3] European University Association, Results of Mapping survey conducted in October-November 2013.

[4] https://www.ttu.ee/en/Tallinn University of Technology

[5] http://www.sgh.waw.pl/en/Pages/default.aspx SGH Warsaw School of Economics

შესაბამისი მომზადება და გაუძღვეს მისთვის სასურველ ელექტრონულ კურსს. ასევე გამოიკვეთა მომხმარებლისა და ლექტორის მოთხოვნა შერეული დიპის დისტანციური სწავლების ტიპზე,როდესაც სწავლების ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათებით უშუალოდ სასწავლო დაწესებულებაში. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა მომხმარებლის დამოკიდებულება დისტანციური სწავლების საფასურზე, გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ სწავლების წლიური საფასური არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო დაფინანსების ოდენობას 2250 ლარს,მათი ნაწილი,66.2% თვლის რომ ნაკლები უნდა იყოს მოცემულ თანხაზე.

გამოკითხულ სტუდენტთა 44.8% დასაქმებულია და პარალერულად სწავლობს, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ შერეული დისტანციური სწავლების დანერგვით უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებს ხელი შეეწყობათ სწავლის პროცესში, მათთვის ხელსაყრელ დროსა და ადგილას შეძლებენ სალექციო მასალების დამუშავებასა და შესწავლას.

ელექტრონული სწავლების დანერგვის პროცესში მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ლექტორები გამოყოფენ სტუდენტთა შესაძლო აკადემიურ არაკეთილსინდისიერებას, სტუდენტთა მოტივაციისა და ინტერესის შემცირებას ლექტორთან უშუალო კონტაქტის არარსებობის შემთხვევაში. დღევანდელ დღეს კომპიუტერული ტექნოლოგიები გვთავაზობენ კონტროლის არატდაიციულ მეთოდებს გამოვლინდეს თაღლითობა და პლაგიატი. სტუდენტების მხრიდან არაკეთილსინდისიერების ასარიდებლად საჭიროა თითოეული მათგანი თავიდანვე იყოს ინფორმირებული და აცნობიერებდეს თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ამგვარმა ქმედებამ, თუ რატომ არის არასწორი სხვისი ინტელექტუალური ნაშრომის მითვისება. ასევე უმაღლეს სასწავლებლებში დაწესებული სანქციები აკადემიურ არაკეთილსინდისიერების წინააღმდეგ (მაგ: ნაშრომის გაუქმება, კრედიტების დაკლება, აკადემიური წლის გაუქმება) წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს სტუდენტისთვის, რომ არ განახორციელონ მზგავსი ქმედება.

დისტანციური სწავლების უარყოფით მხარედ როგორც სტუდენტი ასევე ლექტორი ასახელებს უშუალო კავშირის არარსებობას აუდიტორიასთან, გარკვეულ საკითხზე დისკუსიის, აზრის გაზიარების დეფიციტს. ამ პრობლემას გარკვეულწილად პასუხობენ თანამედროვე სწავლების მართვის სხვადასხვა სისტემები, როდესაც მომხმარებელს აქვს საშუალება ჩაერთოს ონლაინ დისკუსიაში და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. ასევე შესაძლებლობა აქვს თითოეულ მომხმარებელს უშუალო კომუნიკაცია ჰქონდეს ინსტრუქტორთან წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის სწავლების მართვის სისტემა,კერძოდ www.eliademy.com რომელიც წარმოადგენს ონლაინ კურსების შექმნის უფასო პორტალს. კურსის მსვლელობისას მომხმარებლებსა და ინსტრუქტორს შორის შესაძლებელია გაიმართოს დისკუსია გარკვეული თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. მომხმარებელი სინქრონულ ან ასინქრონულ რეჟიმში გამოთქვამ საკუთარ აზრს, დამოკიდებულებას და მუდმივად იღებს უკუკავშირსაც.

ასევე საკუთარი გამოცდილებიდან, როდესაც ორეგონის უნივერსიტეტის დისტანციურ კურსზე[6] ვიყავი რეგისტრირებული ნებისმიერი ტიპის შეკითხვაზე ტექნიკური თუ უშუალოდ თემასთან დაკავშირებული ვიღებდი კომპეტენტურ პასუხს შესაბამის დროში. ამის მიზეზი იყო ის, რომ კურსის თითოეული დეტალი იყო გათვლილი და დაგეგმილი წინასწარ. მე, როგორც მომხმარებელი ინფორმირებული ვიყავი თუ როდის და ვისთვის უნდა მიმემართა პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში.

ლექტორთან უშუალო ურთიერთობის საშუალება მიეცემა სტუდენტს სწორედ შერეული ტიპის სწავლების ფარგლებში, რომელსაც გამოკითხული ქართველი მომხმარებელი ითხოვს. სტუდენტს წინასწარ ეცოდინება სემესტრის განმავლობაში როდის შეუძლია ლექტორის ნახვა და სააუდიტორიო ლექციებზე დასწრება.

საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ამჟამად სასწავლო სპეციფიკის ტრანსფორმაციის და განვითარების საკმაოდ რთული პროცესი მიმდინარეობს. ტარდება რიგი ღონისძიებები, კვლევითი სამუშაოები, რომელთა საფუძველზეც დგინდება, თუ როგორ უნდა იყოს კურსი აგებული იმისათვის, რომ მან მისცეს სტუდენტს მაქსიმალური ცოდნის მიღების შესაძლებლობა და შემდგომ მოხდეს მისი ხარისხიანი და ობიექტური შეფასება. ძირითადი განსხვავება სწავლების ტრადიციულ მიდგომასა და თანამედროვე მიდგომას შორის ის მეთოდები და საშუალებებია, რომლებსაც სწავლების პროცესში ვიყენებთ. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება განათლების მიღების პროცესს დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებელს

[6] https://aei.uoregon.edu/programs/onlineDeveloping Local Leadership for Global English Language Teaching (Global Leadrs)

ხდის. დღეს სტუდენტთა უმრავლესობას არ შეუძლია მთელი თავისი დრო მხოლოდ ცოდნის მიღების პროცესს დაუთმოს, რადგან მათი უმეტესი ნაწილი დასაქმებულია და ამიტომ მკაცრი სასწავლო განრიგის მიღება მთელ რიგ სირთულებთანაა დაკავშირებული.

დასკვნა ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნები და დავსახოთ მდგომარეობის გასაუმჯობესებელი პერსპექტივები:

- საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში დისტანციური სასწავლო პროგრამების დასანერგად, პირველ რიგში, საჭიროა საკანონმდებლო შეზღუდვების მოხსნა
- ელექტრონული სწავლების დანერგვისას ორიენტირი უნდა იყოს ხარისხზე დაფუძვნებული სწავლა-სწავლების პროცესი.
- დისტანციური სწავლების დანერგვა უნდა იყოს პირდაპირ კავშირში საბაზრო მოთხოვნასთან, ანუ როდესაც მაღალია პოტენციური მომხმარებლის ინტერესი ამ ტიპის პროგრამებსა და სწავლებაზე.
- პოლონეთისა და ესტონეთის გამოცდილებიდან გამომდინარე, ასევე ქართველი პოტენციური მომხმარებლის კვლევაზე დაყრდნობით საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა კურსების ელექტრონული მხარდაჭერის (e-support) დანერგვა, რომელიც არ გამორიცხავს ლექციებზე დასწრებას. ეს არის დამატებითი შესაძლებლობა დამოუკიდებელი პროაქტიული მეცადინეობისა.
- როგორც კვლევებმა ცხადყო მნიშვნელოვანია სტუდენტსა და ლექტორს, სტუდენტსა და აუდიტორიას შორის შესაბამისი ინტერაქცია, კომუნიკაცია იქნება ეს სინქრონულ თუ ასინქრონულ რეჟიმში. შესაბამისად დიალოგის სხვადასხვა ფორმა უნდა გათვალისწინებულ იქნას კურსის დიზაინისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაპანაძე დ., ლომინაძე თ., ჟვანია თ., თოდუა თ., კობაშვილი ა., - დისტანციური სწავლების ორგანიზება LMS Moodle. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2008 წელი;
2. ჩაჩანიძე გ. სართანია ვ, ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები. თბილისი 2004.
3. Alexandru Pop, "Blended Learning, E-Learning and Online Learning: What's Important?" 09.17.2016
4. Alfred P. Rovai; Michael K. Ponton; Jason D. Baker Distance Learning in Higher Education: A Programmatic Approach to Planning, Design, Instruction, Evaluation, and Accreditation, 2008
5. Gabel M. Kupriyamova V. Morais, Colucci E. E-Learning in European Higher Education Institutions Results of a Mapping Survey Conducted in October-December 2013
6. The Evolution of Distance Learning in Higher Educationhttps://tomprof.stanford.edu/posting/527 20.052018
7. King E. Alperstein N. Best Practices in Online Program Development Teaching and Learning in Higher Education 2015
8. Psaromiligkos Y. Spyridakos A. Retalis S. Evaluation in E-learning 2012.

PERSPECTIVES AND POSSIBILITIES OF ADAPTATION DISTANCE LEARNING PROGRAMS IN GEORGIAN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS

TINATIN RODONAIA - Doctoral Student of GTU

E-mail: trodonaia@hotmail.com

Summary

Development of modern technology creates new opportunities for internationalization of higher education institutions. Increased number of online, distance, blended courses and programs tend to become significant for prospective students as well as for development of universities.

As a result of students and lecturers survey conducted in Georgia revealed the demand and motivation of society towards this modern approach. Most of the respondents support the idea of implementing blended learning programs in higher education institutions because of its flexibility and time-saving.

To implement distance learning programs in Georgian higher education institutions it is necessary firstly to remove legislative restrictions and to acknowledge distance education. Providing distance learning should be tightly connected to the needs of labour market when the graduates are highly valued and the interest is also high. Everything has to be balanced and originate from high quality education.

Keywords: distance learning, education, e-learning, development, higher education, online courses, technology, customer.